# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 217

„15" ივნისი 2021 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ. №01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ. 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და $122^1$ მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ. №01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ. 405423563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 1 ივნისის №21.696.804 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №7-ის მიმდებარედ რეგისტრირებული ტერიტორიიდან (ს/კ. №01.18.03.062.026) 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, შპს „ჰაიდისთვის“ (ს/კ. 405423563) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 3600 (სამი ათას ექვსასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე